დანართი N 3

მონიტორინგის კითხვარი

1. წარმოადგინეთ ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ:
   ა) კოოპერატივის დასახელება;
   ბ) იურიდიული მისამართი;
   გ) ფაქტობრივი მისამართი;
   დ) კოოპერატივის ელ.ფოსტის მისამართი;
   ე) გამგეობის თავმჯდომარე (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი);
   ვ) გამგეობის წევრები/დირექტორები (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი);
   ზ) სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, წევრთა რაოდენობა და საბჭოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი).

2. ახორციელებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას?
   (აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ. გვერდიდან http://cooperatives.rda.gov.ge/legislation ჩამოტვირთეთ Excel-ის ფაილი - მონიტორინგის დანართი N4, შეავსეთ ინფორმაცია კოოპერატივის შესახებ და ჩაწერეთ მონაცემები თქვენი საქმიანობის შესაბამისად).

3. ახორციელებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა სხვა საქმიანობას?
   (აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ.გვერდიდან http://cooperatives.rda.gov.ge/legislation ჩამოტვირთეთ Excel-ის ფაილი - მონიტორინგის დანართი N4, ჩაწერეთ ინფორმაცია ცხრილში არსებულ შესაბამის ველში).

4. დაცულია თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმუმი?
   წარმოადგინეთ ინფორმაცია კოოპერატივის წევრთა/მეპაიეთა რაოდენობის შესახებ (წევრთა/მეპაიეთა რეესტრი).

5. მიმდინარეობს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება?
   (წარმოადგინეთ ინფორმაცია. ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია).

6. დაცულია თუ არა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით დადგენილი სხვა მოთხოვნები?

   წარმოადგინეთ ინფორმაცია:

   ა) კოოპერატივსა და მის წევრ/მეპაიეებს შორის ურთიერთვალდებულებების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები;

   ბ) წინა სამეურნეო წლის კოოპერატივის მოგების განაწილების, სავალდებულო სარეზერვო ფონდის, სხვა მიზნობრივი ფონდების (არსებობის შემთხვევაში) ფორმირებისა და განკარგვის შესახებ (საერთო კრების ან/და გამგეობის გადაწყვეტილებები);

   გ) წინა და/ან მიმდინარე სამეურნეო წლის სავალდებულო საპაიო შენატანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

   დ) ასოცირებული წევრის შენატანის და მეპაიის დამატებითი შენატანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);

   ვ) პროდუქციის წარმოების და/ან რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები მიწოდების შესახებ, პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტები, ზედნადებები).